მსოფლიო პრაქტიკა

სიახლეები

ესპანეთის სამეფოს საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენებით პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება დასაქმების მიზნით გაცემულ ცნობაში პერსონალური მონაცემების უკანონო გამჟღავნების შესახებ

გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს სახელმძღვანელო რეკომენდაცია დოკუმენტების გასაჯაროებისას გასათვალისწინებელი სტანდარტების შესახებ

2025 წლის 31 ივლისს გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დოკუმენტების უსაფრთხოდ გასაჯაროების შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაცია გამოაქვეყნა. საზედამხედველო ორგანოს განცხადებით[1], აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავების მიზანს ინფორმაციის გაზიარების პროცესში მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და აღნიშნულის თაობაზე საზოგადოების სათანადო ინფორმირება წარმოადგენს.

ივლისი 2025

2025 წლის 31 ივლისს გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დოკუმენტების უსაფრთხოდ გასაჯაროების შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაცია გამოაქვეყნა. საზედამხედველო ორგანოს განცხადებით[1], აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავების მიზანს ინფორმაციის გაზიარების პროცესში მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და აღნიშნულის თაობაზე საზოგადოების სათანადო ინფორმირება წარმოადგენს.

სახელმძღვანელო რეკომენდაციაში, დოკუმენტების შესამოწმებლად, მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში, პრაქტიკული რჩევებია წარმოდგენილი. მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენის შემთხვევაში (მაგალითად, მასში არსებული დაფარული პერსონალური მონაცემები, ან „მეტამონაცემები“), დოკუმენტში უნდა იქნეს შეტანილი შესაბამისი ცვლილებები. ამავდროულად, რეკომენდაცია შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ფორმატში უნდა გასაჯაროვდეს მონაცემები. აგრეთვე, რეკომენდაცია შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- დაფარული პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირება, მათ შორის, ცხრილებში და სხვა;
- დაფარული მონაცემების გამოსავლენად დოკუმენტის ფორმატის ცვლილება;
- დაფარული პერსონალური ინფორმაციის იდენტიფიცირებისთვის შექმნილი პროგრამების გამოყენება (მაგალითად, Microsoft Document Inspector);
- პერსონალური მონაცემების ეფექტიანი წაშლა და რედაქტირება;
- პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საშუალებები.

დამატებით, რეკომენდაციაში ასახულია პრაქტიკული რჩევები პოლიტიკის დოკუმენტების, პროცედურებისა და სატრენინგო მასალების შემუშავების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხების შესახებ. რეკომენდაციების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია დოკუმენტის გავრცელებამდე, მაგალითად როდესაც:

- დოკუმენტი ქვეყნდება ინტერნეტ სივრცეში;
- დოკუმენტი ეგზავნება მომხმარებელს;
- დოკუმენტის გაგზავნა საჭიროა ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გასაცემად.

გარდა აღნიშნულისა, დოკუმენტის გასაჯაროებამდე საჭიროა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შემოწმება იმისათვის, რომ:

- დაცულ იქნეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, მათ შორის, კანონიერების, სამართლიანობის და გამჭვირვალობის პრინციპების მოთხოვნები;
- დაცულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის უფლებები; და
- გათვალისწინებულ იქნეს საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სხვა სახელმძღვანელო რეკომენდაციები (მაგალითად, მონაცემთა გაზიარების შესახებ ქცევის კოდექსი).

ესპანეთის სამეფოს საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენებით პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში დისტანციურმა სწავლებამ და შეფასებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რამაც განაპირობა ზოგიერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან მკაცრი მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა. 2025 წლის 3 ივნისს ესპანეთის სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (შემდგომ - "AEPD") მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც, დისტანციური გამოცდების მონიტორინგის მიზნით, ვალენსიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ("UIV") მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემების ("AI") მეშვეობით, სტუდენტთა ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას შეეხება.

ფაქტობრივი გარემოებები

ესპანეთის სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საჩივრით მიმართეს ვალენსიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც განმარტავდნენ, რომ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პრაქტიკით, დისტანციურ ფორმატში გამოცდის ჩაბარება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები დათანხმდებოდნენ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ბიომეტრიული სისტემის გამოყენებას. აღნიშნული სისტემა, სტუდენტებისთვის ალტერნატიული არჩევანის შეთავაზების გარეშე, ითვალისწინებდა:

1. ბიომეტრიული სახის ამომცნობი მექანიზმის გამოყენებას, რომელიც მონაცემთა სუბიექტის უნიკალური იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდა;
2. ორმაგი კამერის („360° მონიტორინგის") მოქმედებას, რაც გულისხმობდა უშუალოდ სტუდენტის, მისი გარემოსა და ქცევის მუდმივ ზედამხედველობას.

სისტემა რეალურ დროში იღებდა და ამუშავებდა გამოსახულებებს სტუდენტთა ვინაობის დადასტურების მიზნით.

უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ("DPIA") დოკუმენტში მითითებული იყო ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების ახალი ტექნოლოგიის სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მაღალი რისკის შემცველობის თაობაზე. უნივერსიტეტი სადავო პრაქტიკას ამართლებდა შემდეგი არგუმენტებით:

1. ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენება აუცილებელი იყო დისტანციურად წარმოებული გამოცდების ხარისხის უზრუნველსაყოფად;
2. სტუდენტების მხრიდან არსებობდა მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული თანხმობა, რომელიც გაცემული იყო უნივერსიტეტში აკადემიური რეგისტრაციის დროს;

3. პრაქტიკა გამართლებული იყო მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესით (აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა).
გარდა ამისა, უნივერსიტეტი ამტკიცებდა, რომ დამუშავებული მონაცემები ფსევდონიმიზებული იყო და მალევე იშლებოდა.

საზედამხედველო ორგანოს შეფასება

საზედამხედველო ორგანომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული ინფორმაცია, კერძოდ, ბიომეტრიული მონაცემები, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდა, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) მე-9 მუხლის შესაბამისად - განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს წარმოადგენდა. ამასთან, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისები. ესპანეთის სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, უნივერსიტეტის მიერ დასახელებული საფუძვლები არ შეესაბამებოდა აღნიშნულ გამონაკლისებს.

- თანხმობის გაცემის მართლზომიერება

საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ სტუდენტების თანხმობა სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენებით მათი ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებაზე ვერ ჩაითვლებოდა „თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატულად“, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ რეალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. კერძოდ, თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სტუდენტები კარგავდნენ დისტანციურად გამოცდის ჩაბარების საშუალებას. შესაბამისად, თანხმობა ვერ აკმაყოფილებდა “GDPR”-ის მოთხოვნებს, რომლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა უნდა იყოს ინფორმირებული და ეფუძნებოდეს სუბიექტის თავისუფალ და მკაფიოდ გამოხატულ ნებას.

- მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი

საზედამხედველო ორგანომ არ გაიზიარა უნივერსიტეტის არგუმენტი, რომ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება გამართლებული იყო „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესით“. “AEPD”-მ განმარტა, რომ ესპანეთის სამეფოს ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობდა სპეციალური ნორმა, რომელიც უნივერსიტეტებს, დისტანციური გამოცდების მონიტორინგის მიზნით, ბიომეტრიული იდენტიფიკაციის გამოყენების უფლებას მისცემდა. საზედამხედველო ორგანოს განმარტებით, ვალენსიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ მითითებული „უნივერსიტეტების ორგანული კანონის“ 46.3-ე მუხლი, რომელიც ცოდნის შემოწმების ზოგად ვალდებულებას აწესებდა, არ წარმოადგენდა საკმარის სამართლებრივ საფუძველს მაღალი რისკის შემცველი სისტემის გამოყენების გასამართლებლად.

- საკანონმდებლო რეგულირება

საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება დასაშვები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნებოდა სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც:

1. აკადემიური თაღლითობის პრევენციას მიიჩნევდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესად;
2. განსაზღვრავდა რა შემთხვევებში და რა გარანტიების არსებობისას იქნებოდა დასაშვები ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება;
3. დააწესებდა მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად უსაფრთხოების მინიმალურ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს.

-
-

- ევროკავშირის „ხელოვნური ინტელექტის შესახებ“ აქტის (“AI Act”) რელევანტური ნორმები

საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები, რომლებიც ბიომეტრიულ მონაცემებს ამუშავებს, ევროკავშირის „ხელოვნური ინტელექტის შესახებ“ აქტით მაღალი რისკის კატეგორიის ტექნოლოგიებს (დანართი III) მიეკუთვნება. “AEPD”-ის განმარტებით, “AI Act” თავისთავად არ წარმოადგენს ესპანეთის სამეფოში მსგავსი სისტემების განათლების სფეროში გამოყენების სამართლებრივ საფუძველს. “AI Act” ადგენს, რომ ამ ტიპის სისტემების დანერგვამდე აუცილებელია ეროვნული (ან ევროპული) სამართლებრივი აქტის მიღება, რაც უზრუნველყოფს სათანადო წესებსა და გარანტიებს.

გადაწყვეტილება

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ ვალენსიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პრაქტიკა - დისტანციური გამოცდების მონიტორინგის მიზნით, ხელოვნური ინტელექტის სისტემების მეშვეობით სტუდენტთა ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება - არღვევდა “GDPR”-ის მოთხოვნებს, ვინაიდან არ არსებობდა მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი და იზღუდებოდა სტუდენტთა ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.
საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტს დაეკისრა სანქცია და მიეცა დავალება, შეეწყვიტა მონაცემთა დამუშავების აღნიშნული პრაქტიკა და შეემუშავებინა შესაბამისი ალტერნატიული მეთოდები. საზედამხედველო ორგანომ ასევე განმარტა, რომ აკადემიური თაღლითობის პრევენციის მიზნით ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება პრინციპულად არ განიხილებოდა უკანონო პრაქტიკად, თუმცა აღნიშნული მხოლოდ მაშინ იქნებოდა დასაშვები, თუ დამუშავება მოხდებოდა მკაფიოდ განსაზღვრული კანონმდებლობის საფუძველზე და სათანადო გარანტიების დაცვით.

ესპანეთის სამეფოს საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენებით პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

2025 წლის პირველ ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე **ა.რ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ** (საჩივარი № 6033/19)[1] დაადგინა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლის („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება“) დარღვევა. საქმე ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს კრიმინალური აღრიცხვის ბიუროს მიერ ლექტორის აკადემიურ პოზიციაზე მომჩივნის დასაქმების განაცხადთან დაკავშირებით გაცემულ ცნობას, რომელშიც აისახა ინფორმაცია მის მიმართ წარდგენილი გაუპატიურების ბრალდების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღნიშნულ საქმეში გამართლდა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

პროფესიით მასწავლებელი მომჩივანი ა.რ. დაიბადა 1978 წელს. იგი ტაქსის მძღოლად მუშაობდა. 2010 წლის მარტში მას ბრალად წარედგინა არასრულწლოვანი მგზავრის გაუპატიურება, თუმცა 2011 წლის იანვარში იგი გაერთიანებული სამეფოს ეროვნულმა სასამართლომ გაამართლა.

2011 წლის 22 მარტს, მომჩივნის ლექტორად დასაქმების განაცხადთან დაკავშირებით, გაერთიანებული სამეფოს კრიმინალური აღრიცხვის ბიურომ (“CRB”) გასცა კრიმინალური აღრიცხვის შესახებ დეტალური ცნობა (“ECRC”). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, “ECRC”-ში პირის მსჯავრდებისა და ნასამართლობის შესახებ მონაცემებთან ერთად, პოლიციის უფროს ოფიცერს, დისკრეციის ფარგლებში, შეეძლო აესახა დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. მომჩივნის შემთხვევაში, ცნობაში მითითებულ იქნა მის მიმართ წარდგენილი გაუპატიურების ბრალდებისა და შემდგომი გამართლების შესახებ ინფორმაცია.

2011 წლის ივნისში ა.რ.-მ წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელშიც განმარტავდა, რომ აღნიშნული ინფორმაციის ცნობაში ასახვა არაპროპორციულად ზღუდავდა მის სამომავლო დასაქმების შესაძლებლობას, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სფეროში. საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ეროვნული უწყებების განმარტებით, ცნობის გაცემისას, სისხლის სამართლის პროცესთან შედარებით, მოქმედებდა მტკიცების დაბალი სტანდარტი, ხოლო ბრალდების სიმძიმისა და პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება იყო პროპორციული.

2012 წლის მარტში, როდესაც მომჩივანმა ტაქსის კერძო მომსახურების ლიცენზიის მისაღებად შეიტანა განაცხადი, ბიურომ კვლავ გასცა ანალოგიური ცნობა, რომელშიც იგივე ინფორმაცია იყო ასახული. მომჩივანმა გადაწყვეტილებები ეროვნულ სასამართლოებში გაასაჩივრა, თუმცა მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მომჩივნის მოთხოვნა

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა მისი პერსონალური მონაცემების, კერძოდ - ბრალდებისა და შემდგომი გამართლების შესახებ ინფორმაციის არაპროპორციულ გამჟღავნებაზე. მომჩივნის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის ასახვა “ECRC”-ში კანონიერი საფუძვლის გარეშე, არღვევდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ა.რ.-ს მტკიცებით, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არ იყო საკმარისად განჭვრეტადი, რის გამოც ჩარევა კანონიერად ვერ მიიჩნეოდა. ამასთან, ჩარევა არ წარმოადგენდა ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ საშუალებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა

სასამართლომ დაადგინა, რომ კრიმინალური აღრიცხვის შესახებ დეტალურ ცნობაში მომჩივნის პერსონალური მონაცემების, კერძოდ - მის მიმართ წარდგენილი ბრალდებისა და შემდგომი გამართლების შესახებ ინფორმაციის ასახვა წარმოადგენდა ჩარევას „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. შესაბამისად, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა ჩარევა გამართლებული, კერძოდ, შეფასდა:

1. ჩარევის კანონშესაბამისობა;
2. ლეგიტიმური მიზნები;
3. დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის კრიტერიუმი.

- დაცულ სფეროში ჩარევის გამართლების ზოგადი პრინციპები

ჩარევის „კანონთან შესაბამისობის“ მოთხოვნა გულისხმობს, რომ სადავო ღონისძიებას უნდა ჰქონდეს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. კანონმდებლობა უნდა ადგენდეს უფლებაში ასეთი ჩარევის შესაძლებლობას და იყოს შესაბამისობაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.

სასამართლომ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ მოთხოვნასთან მიმართებით „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ განსაზღვრავს ორ კრიტერიუმს: ხელმისაწვდომობას და განჭვრეტადობას. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი და ისეთი სიზუსტით ფორმულირებული, რომ ინდივიდმა, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო იურიდიული კონსულტაციის შედეგად, შეძლოს შედეგების განჭვრეტა, რომლებიც შეიძლება მის ქცევას მოჰყვეს.

ამასთან, კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს სახელმწიფო ორგანოსთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებსა და განხორციელების წესს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ ორგანოებს მინიჭებული აქვთ ფართო დისკრეცია, აუცილებელია არსებობდეს საკმარისი გარანტიები მისი თვითნებური გამოყენებისგან დასაცავად.

- ჩარევის კანონთან შესაბამისობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, წინამდებარე საქმეში ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“, რადგან ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებდა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას, არ იყო საკმარისად განჭვრეტადი და ეროვნულ ორგანოებს ფართო დისკრეციას ანიჭებდა სათანადო დამაბალანსებელი გარანტიების გარეშე. სასამართლო დაეყრდნო შემდეგ გარემოებებს:

კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაციის „რელევანტურობის“ დადგენის კრიტერიუმები. ამასთან, არ მოითხოვებოდა „გონივრული ეჭვის“ სტანდარტის დაცვა - საკმარისი იყო მხოლოდ ოფიცრის სუბიექტური მოსაზრება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, 113B(4) მუხლი პოლიციის უფროს ოფიცრებს ანიჭებდა კონკრეტული პირის შესახებ პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ზედმეტად ფართო დისკრეციას.

1. სახელმძღვანელო ინსტრუქციის არარსებობა

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ფაქტი, რომ სადავო პერიოდში არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინსტრუქცია, რაც პოლიციის უფროს ოფიცრებს დაეხმარებოდა სადავო ცნობებთან დაკავშირებული დისკრეციული უფლებამოსილების სათანადო განხორციელებაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობის მიერ მითითებული „ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ ჩარჩო დოკუმენტი“ ვერ ჩაითვლებოდა სათანადო ინსტრუქციად, ვინაიდან მას არ ჰქონდა შესასრულებლად სავალდებულო ძალა და საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო.

ამასთან, მართალია, ეროვნული სასამართლოების პრაქტიკიდან იკვეთებოდა გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპები, თუმცა ისინი ზოგადი ხასიათის იყო და არ ეხებოდა ცნობაში ასახულ ბრალდებასთან დაკავშირებით პირის გამართლებას.

1. ჩარევის განჭვრეტადობა

სასამართლომ განმარტა, რომ გამართლებული პირების შემთხვევაში მათი ბრალდების შესახებ მონაცემების გამჟღავნების პროპორციულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია, მათ შორის, შემდეგი ფაქტორები: პერსონალური მონაცემების სისწორე, სიზუსტე და უდანაშაულობის პრეზუმფცია. სასამართლოს განმარტებით, სადავო ბრალდებების შესახებ ინფორმაციის დამსაქმებლებისთვის გამჟღავნება საჭიროებს განსაკუთრებით მკაფიო და დეტალური ინსტრუქციის არსებობას, რაც ნათლად განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების დისკრეციის ფარგლებსა და მისი განხორციელების წესს.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამართლებული პირისთვის ვერ იქნებოდა განჭვრეტადი, რომ ასეთი ბრალდების შესახებ ინფორმაცია კრიმინალური აღრიცხვის ცნობაში აისახებოდა.

1. ჩარევის გავლენა მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებაზე

სასამართლომ განმარტა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მკაფიო და განჭვრეტადი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამჟღავნება წარმოადგენს დაბრკოლებას და ხელყოფს პირთა დასაქმების შესაძლებლობას. დამსაქმებელს შესაძლოა შექმნოდა შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემულ ცნობაში აღნიშნული მონაცემების ასახვა გულისხმობდა ბრალდების საფუძვლიანობას, მიუხედავად იმისა, რომ პირი ეროვნული სასამართლოს მიერ გამართლდა.

1. ეროვნული ორგანოების ფართო დისკრეციის საპირწონე ფაქტორები

სასამართლომ იმსჯელა ეროვნული უწყებებისთვის მინიჭებული ფართო დისკრეციის საპირწონედ მოქმედ დამაბალანსებელ მექანიზმებზე:

- წინასწარი განმარტების შესაძლებლობა - არსებობდა პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევდა პირს, სადავო მონაცემების ცნობაში ასახვამდე წარმოედგინა საკუთარი პოზიცია, თუმცა ეს პროცედურა არ გამოიყენებოდა უნივერსალურად და სათანადოდ და ერთგვაროვნად განსაზღვრული არ იყო. მომჩივნის შემთხვევაში აღნიშნული მექანიზმი საერთოდ არ გამოყენებულა.

- დამოუკიდებელი პირის მიერ ცნობის გაცემამდე ინფორმაციის გადახედვა - სასამართლომ აღნიშნა, რომ 2011-2012 წლებში ეს მექანიზმი პრაქტიკაში დანერგილი არ იყო.

2012 წლის შემდეგ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განხორციელდა ცვლილებები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მომჩივნის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე არ იყო.

გადაწყვეტილება

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დასაქმების მიზნით გაცემულ კრიმინალური აღრიცხვის ცნობაში მომჩივნის ბრალდებისა და შემდგომი გამართლების შესახებ პერსონალური მონაცემების ასახვით დაირღვა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლება. სასამართლოს შეფასებით, 2011-2012 წლებში მოქმედი კანონმდებლობა არ იყო საკმარისად განჭვრეტადი, სახელმწიფო ორგანოებს ზედმეტად ფართო დისკრეციას ანიჭებდა და არ უზრუნველყოფდა სათანადო გარანტიებს თვითნებური ჩარევისგან პირთა დასაცავად.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge